საქართველოს მთავრობის

დადგენილება №54

2026 წლის 12 თებერვალი

ქ. თბილისი

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე/საავტომობილო გზების მონაკვეთებზე და გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 200 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№1341-IVმს-XIმპ, 17/12/2025) მე-2 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე/საავტომობილო გზების მონაკვეთებზე და გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 200 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი“ ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 19 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე/საავტომობილო გზების მონაკვეთებზე და გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 200 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალული საქმიანობების ჩამონათვალი

საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ინდექსი და დასახელება	საავტომობილო გზის მონაკვეთი	საქმიანობა
(ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)	საავტომობილო გზის კმ16+000 - კმ248+000 (თბილისის გასასვლელი - სამტრედიის კვანძი) მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-2) სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი)	საავტომობილო გზის კმ48+000 - კმ122+900 (წყალწმინდის კვანძი - სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტი) მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-4) თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი)	საავტომობილო გზის კმ12+800 - კმ57+000 მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-5)		

თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი)	საავტომობილო გზის კმ19+500 - კმ162+800 მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-7) მარნეული (კოსტავას ქუჩიდან)- სადახლო (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი)	საავტომობილო გზის კმ18+000 - კმ34+000 მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-9) თბილისის შემოსავლელი	საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ49+000 მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა
(ს-12) სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი	საავტომობილო გზის კმ0+000 - კმ56+200 მონაკვეთი	სამშენებლო საქმიანობა